



The Importance of Contact Information in a Loan Relationship

Natia Rekhviashvili

*Master of Law at the University of Georgia, Senior Inspector in LEPL – Academy of the Ministry
of Internal Affairs of Georgia*

ARTICLE INFO

Article History:

Received 08.05.2022
Accepted 29.05.2022
Published 30.06.2022

Keywords:

Loan, Contact, Duty

ABSTRACT

The Civil Code of Georgia offers norms regulating credit relations. In Georgia, the loan relationship is actively used in the relationship between the customer and the credit organization. Many disorders occur in this process of this relationship. However, the loan relationship is characterized by many features, so it is important to correctly define what ethical obligations any credit organization may have to the consumer and how it should be regulated at the legislative level.

While talking about ethical obligations, we should first of all consider the „Code of Ethics for Credit Removal by Financial Institutions” approved by the President of the National Bank of Georgia N 14/04, which is the latest legislative change in the norms governing credit relations.

One of the most important components of a loan relationship is the proper use of contact information by financial institutions. Failure to use this information in practice could result in significant harm to the borrower.

This article will discuss the most recent legislative changes in the regulatory norms of the loan relationship and it will discuss in detail what problem can be solved by the use of correct methods of communication by financial institutions. However, the importance of correctly identifying contact information in a loan relationship is considered as a problem and ways to solve it will be suggested.

საკონტაქტო ინფორმაციის მნიშვნელობა სასესხო ურთიერთობისას

ნათია რეხვიაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, უფროსი ინსპექტორი სსიპ –
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში

საკვანძო სიტყვები: სესხი, კონტაქტი, ვალდებულება

აბსტრაქტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გვთავაზობს სასესხო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს. საქართველოში სასესხო ურთიერთობა აქტიურად გამოიყენება მომხმარებელსა და საკრედიტო ორგანიზაციას შორის ურთიერთობისას. ამ ურთიერთობის პროცესში ბევრ დარღვევას აქვს ადგილი. ამასთან, სასესხო ურთიერთობა ბევრი თავისებურებით ხასიათდება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს – რა ეთიკური ვალდებულებები შეიძლება გააჩნდეს ამა თუ იმ საკრედიტო ორგანიზაციას მომხმარებლის წინაშე და საკანონმდებლო დონეზე როგორ უნდა იქნეს იგი მოწესრიგებული.

ეთიკურ ვალდებულებებზე საუბრისას უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“, რომელიც უახლოეს საკანონმდებლო ცვლილებას წარმოადგენს სასესხო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებში, რაც წინამდებარე სტატიის ანალიზისა და განხილვის მთავარი საგანია.

სასესხო ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საკონტაქტო ინ-

ფორმაციის სწორად გამოყენება ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან. პრაქტიკაში ამ ინფორმაციის გამოყენებლობამ შესაძლოა მსესხებლისათვის მნიშვნელოვან ზიანამდე მიგვიყვანოს.

წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნება უახლოესი საკანონმდებლო ცვლილებები სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებში და იგი დეტალურად განიხილავს – რა პრობლემის მოგვარებას შეიძლება შეუწყოს ხელი ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან კომუნიკაციის სწორი მეთოდების გამოყენებამ. ამასთან, პრობლემის სახით განიხილება საკონტაქტო ინფორმაციის სწორად განსაზღვრის მნიშვნელობა სასესხო ურთიერთობისას და შემოთავაზებულ იქნება მისი გადაჭრის გზები.

შესავალი

წინამდებარე სტატია ეხება სასესხო ურთიერთობისას საკონტაქტო ინფორმაციის სწორად განსაზღვრისა და შემდგომში მისი სწორად გამოყენების საკითხს.

იგი მიმოიხილავს უახლოეს საკანონმდებლო ცვლილებებს ამ სფეროში და პრაქტიკაში მისი დამკვიდრების გზებს გვთავაზობს.

სტატიის მიზანია პრაქტიკულ ქრილში

მიმოიხილოს უახლესი ცვლილებები სასესიო ურთიერთობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში და ხელი შეუწყოს სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას სასესიო ურთიერთობისას იმგვარად, რომ არ იქნას დარღვეული მსესხებლის უფლებები.

1. უახლოესი საკანონმდებლო ცვლილებები სასესიო ურთიერთობის მომხმარებელ ნორმებში

1.1 ეთიკის კოდექსი და მისი გავლენა სასესიო ურთიერთობებზე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“ უდავოდ პროგრესულ მიდგომად უნდა ჩაითვალოს ფინანსურ ორგანიზაციებსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის რეგულირების თვალსაზრისით.

იგი ადგენს ფინანსურ ორგანიზაციებსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს შემდგომში დავის წარმოშობის პროცესში. ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კომუნიკაციის სწორი მეთოდების შერჩევაა იმგვარად, რომ არ დაირღვეს მსესხებლის უფლებები.

მსესხებლის მიერ სასესიო ვალდებულების შეუსრულებლობისას დამდგარი უკიდურესი შედეგი არის ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მსესხებლის ქონებასა და საბანკო ანგარიშებს ედება ყადაღა, ხოლო, ამის შემდგომ, ქონება ექვემდებარება იძულების წესით აუქციონზე გასხვისებას, რაც მნიშვნელოვან ქონებრივ ზიანთანაა დაკავშირებული მსესხებლისათვის. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მსესხებლის არასათანადო ინფორმირებას მოყვება სწორედ ეს შედეგი. მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულებაში, გარდა მსესხებლის საცხოვრებელი მისამართისა, მიეთითება მის საკონტაქტო ინფორმაციად მისი ტელეფონის ნომერი და

ელფოსტის მისამართიც, თუმცა ფინანსური ორგანიზაციები კომუნიკაციისას ნაკლებად იყენებენ აღნიშნულს და მხოლოდ საცხოვრებელ მისამართზე შეტყობინების გაგზავნით შემოიფარგლებიან. არასათანადო ინფორმირებას კი შედეგად მოყვება მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი მსესხებლისათვის. თუკი მისი ინფორმირება მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ ყველა საკონტაქტო მონაცემზე (ელფოსტა, ტელეფონის ნომერი) შესაძლოა, მან ნებაყოფლობით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება და თავიდან აიცილოს მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

სწორედ აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“¹, რომლის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონტაქტო ინფორმაციად ითვლება – ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა), რომელიც ფინანსური ორგანიზაციისათვის ცნობილი გახდა მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან. აღნიშნული რეგულაციის შემოღება მნიშვნელოვნად ამცირებს მსესხებლის ქონებრივი დანაკლისის შესაძლებლობას და მეტ შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს მსესხებელთან კონტაქტის დამყარების პროცესში, რაც პრაქტიკაში ბევრ სირთულეს აარიდებს თავიდან მსესხებელს.

1.2 საკონტაქტო ინფორმაციის მნიშვნელობა აღსრულების პროცესში

სასესიო ვალდებულების შეუსრულებლობისას დამდგარი შედეგის საკანონმდებლო მოწესრიგებას ახდენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნ-

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“, 2(1) ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი. [18/02/2022]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5384943?publication=0>> [ბოლო წვდომა: 16 ივნისი, 2022]

ქტების თანახმად², თუ გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, მოვალეს ეგზავნება შეტყობინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე.

ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაგზავნილი შეტყობინებები, წინადადებები, გადაწყვეტილებები და სხვა დოკუმენტები სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირებს ჩაბარდებათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კანონი არ ადგენს, თუ რა მეთოდით უნდა მოხდეს მოვალის შეწყობინება. ვალის არსებობის თაობაზე იგი მხოლოდ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე, რომლის 71-ე მუხლიც³ უწყების ჩაბარებისთვის მისამართად ასახელებს ძირითად მისამართს (ფაქტობრივ ადგილსამყოფელს), ალტერნატიულ მისამართს, სამუშაო ადგილს, სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართს ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებულ წესს. მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ განსხვავებულ წესში უნდა მოვიპოვოთ სწორედ შეტყობინების გაგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მეილსა და ტელეფონის ნომერზე, რომლებიც საკონტაქტო ინფორმაციად ითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად⁴.

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლები: 11-12. [სსმ, 13(20), 01/05/1999]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=104>> [ბოლო წვდომა: 16 ივნისი, 2022]

3 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. მუხლი 71. [პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [ბოლო წვდომა: 16 ივნისი, 2022]

4 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“, მუხლი 2(1), „ე“ ქვეპუნქტი. [17/02/2022]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/>

აღნიშნულ ეთიკის კოდექსს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სასესიო ურთიერთობის მონესრიგებისას, ამავე კოდექსის მე-4 მუხლის⁵ 1-ელი პუნქტის თანახმად, ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია, მომხმარებელს დაუკავშირდეს მხოლოდ მომხმარებლის მიერ მისთვის ამ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით ნებადართული გზით მოპოვებულ რეკვიზიტებზე. აღნიშნული მუხლის ჩანაწერი მხოლოდ უფლებამოსილებას ანიჭებს ფინანსურ ორგანიზაციას კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებიც გამოიყენოს მეილისა და ტელეფონის ნომრის სახით, თუმცა პრაქტიკაში, დავის წარმოშობის შემთხვევაში, აღნიშნული მუხლის ჩანაწერი მსესხებელს აძლევს საკუთარი პოზიციის დაცვის საშუალებას, მაშინ როდესაც დღეს მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი არ შეიცავს მსგავს ჩანაწერს, რაც მსესხებლის უფლებრივი დაცვის ერთ-ერთ გარანტიად შეიძლება შეფასდეს.

2. საკონტაქტო ინფორმაციის სწორად განსაზღვრა მსესხებლის, როგორც მომხმარებლისათვის

2.1 მსესხებელი, როგორც მომხმარებელი

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ქართული კანონმდებლობით უნდა იყოს გარანტირებული. „სამომხმარებლო კანონმდებლობაში საკმაოდ დიდია მგრძობელობა მომხმარებლებისადმი და მათი დაცვა განსაკუთრებული პრიორიტეტის საგანია. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი მიდგომების გამოძახილია, რამეთუ თანამედროვე სამართალი პიროვნების უზენაესობას აღიარებს, ხოლო პიროვნების უზენაესობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისი უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალური ეფექტურობით რეალიზება“⁶.

<[view/5384943?publication=0](https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5384943?publication=0)> [ბოლო წვდომა: 16 ივნისი, 2022]

5 იქვე., მუხლი 4
6 ქარდავა, ე., (2007). მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული

ამ განმარტების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასესხო ურთიერთობისას აუცილებელია, მსესხებლის უფლებები იყოს დაცული მისი ინფორმირებისა და კონსულტირების თვალსაზრისით.

2.2 ცალკეული გადაწყვეტილებების მოვალისთვის ჩაბარებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები

მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის შემდგომ კრედიტორი სააღსრულებო წარმოებას ახორციელებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მეშვეობით. როგორც ზემოთ ვთქვით, აღნიშნული კანონი არ იძლევა განმარტებას, რა შეიძლება ჩაითვალოს შეტყობინებად და რა ფორმით უნდა იქნეს იგი მიწოდებული მოვალისათვის. აღნიშნული კანონი მითითებას აკეთებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე, რომლის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით.

ტექნიკური საშუალებით ჩაბარებას აწესრიგებს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი⁷, რომლის თანახმად, ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება:

- ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით;

- ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით ან/და ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დეპეშით დაბარების შემთხვევაში, სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება დეპეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით.

ამრიგად, ჩვენი კანონმდებლობა იცნობს ამგვარ მიდგომას, რომ შეტყობინება და ნებისმიერი კომუნიკაცია მსესხებელთან შესაძლოა განხორციელდეს როგორც ტელეფონით, ისე ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც.

„არ შეიძლება მხედველობიდან გაგუშვათ ამ მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას უწყების გადაცემის დრო აღინიშნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ აქტში, რომელსაც ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე, რომელმაც ეს აქტი უნდა გადასცეს მოსამართლეს (თანაშემწეს), რომელიც ამზადებს საქმეს და რომელმაც უნდა განიხილოს ეს საქმე. როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება, როდესაც იგი ჩაბარდება უშუალოდ ადრესატს ან 74-ე მუხლში დასახელებულ პირს, ხოლო სხვა შემთხვევაში, კერძოდ, ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას – გადაცემის დროის დადასტურებით“.⁹

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“, რომლის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონტაქტო ინფორმაციად ითვლება ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა), რომელიც ფინანსური ორგანიზაციისათვის ცნობილი გახდა მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან, შესაბამისად უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკა,

8 იქვე., მუხლი 73(3).

9 ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 131.

ხელშეკრულების მაგალითზე. ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოცემა, გვ. 1.

7 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. მუხლი 73(1). [პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [ბოლო წვდომა: 16 ივნისი, 2022]

რომლის თანახმად მოვალისთვის შეტყობინების გაგზავნა უნდა განხორციელდეს ყველა საკონტაქტო ინფორმაციაზე, რაც ხელშეკრულებაშია მითითებული (ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი).

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში სასესხო ურთიერთობის მოწესრიგების მხრივ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“ ხშირი გამოყენების ობიექტი უნდა იყოს. მის მიერ შემოტანილი განმარტებანი და რეგულირების მეთოდები პრაქტიკოსი იურისტების მხრიდან აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა სამართალი აღსრულდეს და ხელი შეეწყოს ფინანსურ სფეროში მომხმარებლის უფლებების და-

ცვისკენ ორიენტირებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკოსი იურისტების (ადვოკატები, მოსამართლეები და სხვ.) მხრიდან აღნიშნული ეთიკის კოდექსის ცალკეული ნორმების აქტიურ გამოყენებასა და ზუსტ განმარტებას, რათა გადაიჭრას კომუნიკაციის პრობლემა საკრედიტო ორგანიზაციებსა და მსესხებლებს შორის.

სავალდებულო წესით უნდა იქნეს შემოღებული ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება შეტყობინებები სხვადასხვა ფინანსურის დავალიანებების თაობაზე, მოვალეს გაეგზავნოს ხელშეკრულებაში მითითებულ ყველა საკონტაქტო საშუალებებზე და ფინანსური ორგანიზაციების ეს ვალდებულება არ შემოიფარგლოს მხოლოდ საცხოვრებელ მისამართზე შეტყობინებების გაგზავნით, რაც რიგ შემთხვევებში ჩაუბარებლად რჩება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მსესხებლის უფლებების დაცვას.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“;
2. ქარდავა, ე., (2007). მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე. ქართული სამართლის მიმოხილვა (სპეციალური გამოცემა);
3. წამალაიძე, გ., (2019). „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი რეგულირების მიმოხილვა დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებში“, კერძო სამართლის მიმოხილვა №2;
4. Mamaiashvili, T., (2004). "Bank and Credit (Loan) Agreement and Court Settlement for the Violation of Credit Liabilities", Journal of Law №2;

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. [სსმ, 13(20), 01/05/1999];
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „საქართველოს სამო-

BIBLIOGRAPHY:

Used literature:

1. Liluashvili, T., Khrustali, V., (2007). Commentary on the Civil Procedure Code of Georgia, Tbilisi: Samartali Publishing House; (In Georgian)
2. Kardava, E., (2007). A comparative legal review of European standards for consumer protection on the example of a street contract. Review of Georgian Law (Special Edition); (In Georgian)
3. Tsamalaidze, G., (2019). "Review of Legal Regulation of Consumer Rights in Remote and Street Contracts", Review of Private Law №2; (In Georgian)
4. Mamaiashvili, T., (2004). "Bank and Credit (Loan) Agreement and Court Settlement for the Violation of Credit Liabilities", Journal of Law №2. (In Georgian)

Legislative acts:

1. Legislative Herald of Georgia. Law of Georgia on Enforcement Proceedings. [SSM, 13 (20), 01/05/1999]; (In Georgian)
2. Legislative Herald of Georgia. Law of Georgia "Civil Procedure Code of Georgia". [Parliamentary Agencies, 47-48, 31/12/1997]; (In Georgian)
3. Legislative Herald of Georgia. Law of Georgia

ქალაქო საპროცესო კოდექსი“. [პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997];

- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“. [18/02/2022].

ინტერნეტ რესურსები:

- legalnature, <<https://www.legalnature.com/guides/everything-you-need-to-know-about-loan-agreements#the-specific-loan-details>>, <www.legalnature.com>, [ბოლო ნახვის თარიღი: 16 ივნისი, 2022]
- Federal Home Loan Bank Of Dallas, <<https://www.sec.gov/Archives/edgardata/1331757/000133175714000024/codeofethicsforfinancialpr.htm>> [ბოლო ნახვის თარიღი: 16 ივნისი, 2022]
- Minnesota Department of Employment and Economic Development Monroe Moxness Berg PA (January 2005). "LOAN DOCUMENTATION: AN INTRODUCTION FOR SMALL BUSINESSES", mn.gov; <https://mn.gov/deed/assets/loan-documentation-an-introduction-for-small-businesses_ACC_tcm1045-133713.pdf> p. 1-3, [ბოლო ნახვის თარიღი: 16 ივნისი, 2022];

"Code of Ethics Related to Lending by Financial Institutions". [18/02/2022]. (In Georgian)

Internet resources:

- legalnature, <<https://www.legalnature.com/guides/everything-you-need-to-know-about-loan-agreements#the-specific-loan-details>>, <www.legalnature.com> [Last viewed: June 16, 2022]; (In English)
- Federal Home Loan Bank Of Dallas, <<https://www.sec.gov/Archives/edgar/data/1331757/000133175714000024/codeofethicsforfinancialpr.htm>> [Last viewed: June 16, 2022]; (In English)
- Minnesota Department of Employment and Economic Development Monroe Moxness Berg PA (January 2005). "LOAN DOCUMENTATION: AN INTRODUCTION FOR SMALL BUSINESSES", mn.gov; <https://mn.gov/deed/assets/loan-documentation-an-introduction-for-small-businesses_ACC_tcm1045-133713.pdf> p. 1-3, [Last Viewed: June 16, 2022]. (In English)

NOTES:

- Legislative Herald of Georgia. Law of Georgia "Code of Ethics for Credit Transfer by Financial Institutions", sub-paragraph "e" of Part 2 (1). [18/02/2022]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5384943?publication=0>> [Last viewed: June 16, 2022]
- Legislative Herald of Georgia. Law of Georgia on "Enforcement Proceedings", Articles: 11-12. [SSM, 13 (20), 01/05/1999]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=104>> [Last viewed: June 16, 2022]
- Legislative Herald of Georgia. Law of Georgia "Civil Procedure Code of Georgia". Article 71. [Parliamentary Departments, 47-48, 31/12/1997]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [Last viewed: June 16, 2022]
- Legislative Herald of Georgia. Law of Georgia "Code of Ethics Related to Lending by Financial Institutions", Article 2 (1), sub-paragraph "e". [17/02/2022]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5384943?publication=0>> [Last viewed: June 16, 2022]
- Ibid., Article 4.
- Kardava, E., (2007). A comparative legal review of European standards for consumer protection on the example of a street contract. Review of Georgian Law – Special Edition, p. 1.
- Legislative Herald of Georgia. Law of Georgia "Civil Procedure Code of Georgia". Article 73 (1). [Parliamentary Agencies, 47-48, 31/12/1997]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [Last viewed: June 16, 2022]
- Ibid., Article 73 (3).
- Liluashvili, T., Khrustali, V., (2007). Commentary on the Civil Procedure Code of Georgia, Tbilisi: „Samartali“ Publishing House, p. 131.